საქმე # 2/297-13

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

(საქართველოს სახელით)

საჯარო შეტყობინების შესახებ

07 მარტი 2014 წელი **ქ. გურჯაანი**

გურჯაანის რაიონული სასამართლო

მოსამართლე ნათელა ჯაშიაშვილი

მოსარჩელე - **შპს ,,გურჯაანის ავტოსადგური"**

წარმომადგენელი - დირექტორი ნიკოლოზ გელიტაშვილი

მოპასუხე - შპს ,,GIG გურჯაანი"

წარმომადგენელი - დირექტორი ალექსანდრე ქადაგიშვილი

დავის საგანი - თანხის დაკისრება;

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

- **შპს ,,გურჯაანის ავტოსადგურმა"** სარჩელი აღძრა სასამართლოში, მოპასუხე შპს ,,GIG გურჯაანის" მიმართ და მოითხოვა დაეკისროს შპს ,,GIG გურჯაანს" **შპს ,,გურჯაანის ავტოსადგურის"** სასარგებლოდ საიჯარო ქირის 1500 ლარის, მოხმარებული ელექტრო ენერგიის 85 ლარის და საკანცელარიო ხარჯის 10 ლარის გადახდა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 04 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

მოპასუხე შპს ,,GIG გურჯაანს" სარჩელში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ.№ 66 რამდენჯერმე გაეგზავნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მაგრამ ვერ ჩაბარდა. როგორც შპს ,,საქართველოს ფოსტას"

კურიერის უკუგზავნილით ირკვევა, მითითებულ მისამართზე შპს „GIG გურჯაანი" აღარ ფუნქციონირებს.

სასამართლო თვლის, რომ მოპასუხეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინების გზით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს."

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან შპს „GIG გურჯაანის" ფაქტობრივი მისამართი უცნობია და მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მათ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 04 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „GIG გურჯაანს" საჯარო შეტყობინების გზით ეცნობოთ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 04 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

1.1. მიღებული იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და **შპს „გურჯაანის ავტოსადგურის"** სარჩელი, შპს „GIG გურჯაანის" მიმართ, დაკმაყოფილდეს.

1.2. შპს „GIG გურჯაანს" დაეკისროს საიჯარო ქირის 1500 (ათას ხუთასი) ლარის გადახდა, **შპს „გურჯაანის ავტოსადგურის"** სასარგებლოდ.

1.3. შპს ,,GIG გურჯაანს" დაეკისროს მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასურის 85 (ოთხმოცდა ხუთი) ლარის გადახდა **შპს ,,გურჯაანის ავტოსადგურის"** სასარგებლოდ.

1.4. შპს ,,GIG გურჯაანს" გადახდეს სახელმწიფო ბაჟი- 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, **შპს ,,გურჯაანის ავტოსადგურის"** სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

1.5. შპს ,,GIG გურჯაანს" გადახდეს 50 (ორმოცდაათი) ლარი **შპს ,,გურჯაანის ავტოსადგურის"** სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის სანაცვლოდ, მასვე **შპს ,,გურჯაანის ავტოსადგურის"** სასარგებლოდ გადახდეს 10 (ათი) ლარი მოსარჩელის მიერ გაღებული საკანცელარიო ხარჯის სანაცვლოდ,

1.6. მხარეებს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაეგზავნოს მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

1.7. მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე მოპასუხეს სსს კოდექსის 232.1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლია გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის განახლების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

2. განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გამოქვეყნდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხეებს ნოვრუზალი მირზაევისათვის და გულიდა აბდულაევისათვის ჩაბარებულად ითვლება გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე: ნათელა ჯაშიაშვილი

ასლი დედანთან სწორია
გურჯაანის რაიონული სასამართლო
სექმიფარა: 07-03-2019.